

რბოლაში მონაწილეობის, შედეგების გასაჩივრების და აპელაციის წესი

თავი 1. შესავალი

1.1. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება:

- შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის საჭირო პროცედურის თანმიმდევრობა;
- შეჯიბრების დასრულების შემდგომ შედეგის გასაჩივრების (პროტესტი) წესი და გასავლელი პროცედურები;
- პროტესტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აპელაციის სახით გასაჩივრების წესი;

1.2. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული წესები მოქმედებს საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის წლიურ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით განსაზღვრულ შეჯიბრებებში;

თავი 2. შეჯიბრებაში მონაწილეობის წესი

2.1. ფედერაციის წლიური კალენდარული გეგმით განსაზღვრული შეჯიბრებები იყოფა ორ სახეობად:

- შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობისთვის სავალდებულოა მრბოლელის შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია;
- შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობისთვის არ არის სავალდებულო მრბოლელის შესაბამისი კატეგორიის ლიცენზია;

2.2. ნებისმიერი ტიპის შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა მონაწილეობის განაცხადის შევსება, რომელიც წინასწარ დადგენილია და შეთანხმებულია ფედერაციასთან;

2.3. მონაწილეობის რეგისტრაციის წესები და საფასური რეგულირდება შეჯიბრების დებულებით, რომელიც შეთანხმებულია და დამოწმებულია ფედერაციის მიერ;

2.4. ისეთი ტიპის რბოლებში რეგისტრაციისათვის, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა მრბოლელის ლიცენზია, რეგისტრაციისათვის სავალდებულოა მონაწილის (Competitor) ლიცენზია;

2.5. მონაწილის (Competitor) ლიცენზიის მფლობელი არის ერთადერთი პირი, რომელსაც აქვს უფლება მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი შეჯიბრების ორგანიზატორისგან, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შეჯიბრებაში დარეგისტრირებული პირის მონაწილეობასთან (რეგისტრაციის ფურცელი, შედეგები და ა.შ.);

2.6. ისეთი ტიპის რბოლებში რეგისტრაციისთვის, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად არ არის სავალდებულო მრბოლელის ლიცენზია, არ არის სავალდებულო მონაწილის (Competitor) ლიცენზია და ორგანიზატორთან ურთიერთობა აქვს უშუალოდ შეჯიბრებაში მონაწილეს;

თავი 3. შედეგების გასაჩივრების წესი

- 3.1. შეჯიბრების ტიპის (პუნქტი 2.1.) მიუხედავად, შეჯიბრების რეგლამენტით და დებულებით რეგულირდება პროტესტის შეტანის წესი და გადასახადი;
- 3.2. პროტესტი შეტანილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით შეჯიბრების ხელმძღვანელის სახელზე და შეჯიბრების ორგანიზატორის სასარგებლოდ გადახდილი უნდა იყოს პროტესტის ღირებულება, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია შეჯიბრების დებულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში პროტესტი არ იქნება განხილული;
- 3.3. სიტყვიერი პროტესტი არ მიიღება და არ ექვემდებარება განხილვას;
- 3.4. ისეთი ტიპის რბოლებში, რომელში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა მრბოელის ლიცენზია, მონაწილის (Competitor) ლიცენზიის მფლობელი არის ერთადერთი პირი, რომელსაც აქვს უფლება შეიტანოს პროტესტი რბოლის ხელმძღვანელის სახელზე და რომელსაც განიხილავს შეჯიბრების კომისარი ან კომისართა ჯგუფი;
- 3.5. ისეთი ტიპის რბოლებში, რომელში მონაწილეობის მისაღებად არ არის სავალდებულო მრბოელის ლიცენზია, ორგანიზატორთან ურთიერთობა აქვს უშუალოდ შეჯიბრებაში მონაწილეს და მასვე შეუძლია დაწეროს პროტესტი შეჯიბრების ხელმძღვანელის სახელზე და რომელსაც განიხილავს შეჯიბრების კომისარი ან კომისართა ჯგუფი;
- 3.6. შეჯიბრების შედეგებთან ან/და შეჯიბრებასთან დაკავშირებული ნებისმიერ სხვა სახის პროტესტი წარდგენილი უნდა იქნეს შეჯიბრების დებულებით განსაზღვრულ დროში;
- 3.7. პროტესტის განხილვის დროს კომისრის მიერ შესაძლებელია მიწვეული იქნას მონაწილის (Competitor) ლიცენზიის მქონე პირი ან პროტესტში მოხსენიებული სხვა პირები;

თავი 4. აპელაციის წარდგენის წესი

- 4.1. შეჯიბრების კომისრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს (აპელაცია) ეროვნული ფედერაციის (საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია) სააპელაციო სასამართლოში;
- 4.2. სააპელაციო სასამართლოში შესატან აპელაციას წერს მონაწილის (Competitor) ლიცენზიის მქონე პირი;
- 4.3. აპელაცია სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით;
- 4.4. კომისრის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირმა, იმ შემთხვევაში თუ აპირებს აპელაციის შეტანას ფედერაციის სააპელაციო სასამართლოში, უნდა აცნობოს ამის შესახებ ადგილზე გადაწყვეტილების მიმღებს წერილობითი ან ზეპირი ფორმით;

4.5. აპელაციის შეტანის დროს, პირმა უნდა იქონიოს მის მიერ დაწერილი პროტესტი (ასლი), კომისრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (ან ასლი), შეჯიბრებაში მონაწილეობის განაცხადი (ასლი), და ყველა ის დოკუმენტი, რომელიც გამოცემული და დამოწმებულია შეჯიბრების ოფიციალური პირების მიერ. ასევე სასურველია წარმოადგინოს ვიდეო ან ფოტო მასალა;

4.6. აპელაცია ფედერაციაში წარდგენილი უნდა იქნას სააპელაციო სასამართლოს დებულების შესაბამისად, ფულადი შენატანის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად და დათქმულ ვადაში;

დამტკიცებულია

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის

საკანონმდებლო კომისიის მიერ

04 დეკემბერი 2018 წელი